



აუდიტსერვისი 2009

SARAS-F-449084

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

შპს „Atef Georgia“

ს/ნ 401952204

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	5
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	10
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	12
ფულადი სახრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება	13
კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	15
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	17

შპს "ATEF Georgia"

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ფინანსური აღრიცხვის პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში.
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 29 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

გახრამან ასადოვი

30 სექტემბერი 2020 წელი



აუდიტსერვისი 2009

SARAS-F-449084

შპს “ATEF Georgia”-ს მენეჯმენტს

დამფუძნებელ პარტნიორებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ATEF Georgia”- ს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების და კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი საარღიფხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან..

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს “ATEF Georgia”- ს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება მცირე სა საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს(მსს ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2020 წლის 30 იანვარს და ამდენად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ

შევძელით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლების მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია 2018 წლის შემოსავალი 42 032,65 ლარის ოდენობით და ჩამოწერილია რელიზებული საქონელი თვითღირებულებით 36 546.24 ლარის ოდენობით. შესაბამისად 2019 წლის ზარალი არასწორადაა შემცირებული 5 486.39 ლარით და ნაცვლად 3 915 701 ლარისა უნდა იყოს 3 921 187,39 ლარი.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტანდარტების მიხედვით აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით "აუდიტორის პასუხისმგებლობა". ჩვენ დამოუკიდებლობე ვართ კომპანიისგან, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით, დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი- საოპერაციო ზარალი

გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნების მე-9 შენიშვნაზე, კერძოდ კი კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, რომელიც წარმოსდგება მნიშვნელოვანი აკუმულირებული ზარალით 35 175 087 ლარის ოდენობით, 2019 წლის საქმიანობის შედეგად კომპანიის ფინანსური შედეგები კვლავ ზარალიანია. კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამ მოსაზრების დასტურად წარმოდგენილია კომპანიის დამფუძნებლის წერილი იმის შესახებ, რომ ის გამოხატავს სრულ მზადყოფნას, რათა განახორციელოს კომპანიის უზრუნველყოფა ფინანსური და სხვა საჭირო რესურსებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან დაკავშირებით.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

შპს “ATEF Georgia“- ს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რომელიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიყენებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე;

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს “ATEF Georgia”-ს შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს “ATEF Georgia”-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს “ATEF Georgia”-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება

უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა კომპანიის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ელენე დოლიძე.

შპს „აუდიტსერვისი 2009“

30 სექტემბერი 2020

ქ. თბილისი, გობრონიძის ქ # 1 ბ. საქართველო.

შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხა წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	4.00	619,827	793,584
არამატერიალური აქტივები	5.00	3,306	3,306
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7.00	28,882,846	

სულ გრძელვადიანი აქტივები

		29,505,979	796,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7.00	1,278,839	35,996,514
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6.00	839,964	1,278,040
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8.00	35,400	950
წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი	11.00	166,099	-

სულ მიმდინარე აქტივები

		2,320,302	37,275,504
--	--	------------------	-------------------

სულ აქტივები

		31,826,280	38,072,394
დაუფარავი ზარალი	9.00	(35,175,087)	(31,259,386)
კაპიტალი		181,530	181,530
<u>სულ კაპიტალი</u>		(34,993,557)	(31,077,856)

გრძელვადიანი ვალდებულებები

მიღებული სესხები	22.00	25,490,857	23,651,554
------------------	-------	------------	------------

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები

		25,490,857	23,651,554
--	--	-------------------	-------------------

მიმდინარე ვალდებულებები

ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10.00		
---	-------	--	--

მიღებული ავანსები

შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

მიღებული სესხები	22.00	-	7,700
გადასახდელი ხელფასები	-	-	162,420
გადასახდელი პროცენტი		4,819,412	3,299,367
საგადასახადო ვალდებულებები	11.00	-	89,846
საპენსიო ანარიცხი		8,557	-
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>41,328,980</u>	<u>45,498,696</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>31,826,280</u>	<u>38,072,394</u>

დირექტორი: გახრამან ასალოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი : 29.09.2020

შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური
ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით. თანხა წარმოდგენილია
ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შემოსავლები	12	1,805,304	3,970,438
თვითღირებულების ხარჯები	19	(3,933,375)	(11,298,499)
საერთო მოგება		(2,128,071)	(7,328,061)
სხვა შემოსავლები		-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(579,210)	(618,509)
საოპერაციო მოგება		(2,707,281)	(7,946,570)
საფინანსო შემოსავალი	13	1,121	1,429
საფინანსო ხარჯი	15	(1,284,818)	(582,427)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	14	5,065,698	16,005,516
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(4,990,420)	(17,076,247)
სხვა ხარჯი			
მოგება დაბეგვრამდე		(3,915,701)	(9,598,299)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(3,915,701)	(9,598,299)

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020

შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	31.12.2019	31.12.2018
<u>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	11,749,359	17,517,256
%-ის შემოსავალი	1,121	1,429
სესხის ძირის დაბრუნება	-	116,500
ზიანის ანაზღაურება	6,270	-
სხვა		14,693,128
 მომწოდებელზე გადახდილი თანხები	(10,002,704)	(14,133,502)
ხელფასი	(1,167,490)	(1,034,414)
სოციალური ანარიცხი	(26,702)	
გადახდილი გადასახადები	(571,218)	(993,919)
%-ზე გადახდილი თანხები	(45)	(817)
საბანკო	(3,881)	(6,757)
გაცემული სესხი	-	(116,500)
სხვა	-	(15,955,916)
 <u>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>(15,290)</u>	<u>86,488</u>
 <u>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(20,651)	(85,189)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	<u>(20,651)</u>	<u>(85,189)</u>
 <u>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>		
სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები	946,052	26,700
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(843,764)	(34,000)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>	<u>102,289</u>	<u>(7,300)</u>
 საკურსო სხვაობის გავლენა ფულად ნაკადებზე	(31,898)	5,636

შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<u>ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები</u> <u>პერიოდის დასაწყისში</u>	<u>950.84</u>	<u>1,315.23</u>
<u>ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები</u> <u>პერიოდის ბოლოს</u>	<u>35,400.00</u>	<u>950.84</u>

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020

შპს "ATEF Georgia"-ის ფინანსური
 ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით. თანხა წარმოდგენილია
 ლარში

	საწესდებო კაპიტალი	ზარალი	გაცემული დივიდენდი	სულ
2018 წლის 1 იანვრისთვის	181,530.00	(21,661,087)		(21,479,556.54)
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				-
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით				-
მოცემული პერიოდის ზარალი		(9,598,299.00)		(9,598,299.00)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	181,530.00	(31,259,386)	-	(31,077,855.54)

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020

მპს "ATEF Georgia"-ის ფინანსური
 ანგარიშგება 2019 წლის 31
 დეკემბრის მდგომარეობით. თანხა
 წარმოდგენილია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	ზარალი	გაცემული დივიდენდი	სულ
2019 წლის 1 იანვრისთვის	181,530.00	(31,259,386)	-	(31,077,856)
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				-
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით				-
მოცემული პერიოდის ზარალი		(3,915,701.00)		(3,915,701)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	181,530.00	(35,175,087)	-	(34,993,557)

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ATEF Georgia „ კომპანიათა ჯგუფი, აზერბაიჯანი.

შპს“ ATEF Georgia” საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს“ ATEF Georgia“ ს/კ (401952204) დაარსდა 2010 წელს , მარეგისტრირებული ორგანო-სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი:

საქართველო,თბილისი, დიდუბის რაიონი, გ.ცაბაძის ქუჩა,№7, ბ. 4

ფაქტობრივი მისამართი:

საქართველო, თბილისი,კოსტავას 71

შპს“ ATEF Georgia” -ს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 75 ადამიანს. (2018 წელს- 125 ადამიანი).

წილი:

შპს „ATEF Georgia „ კომპანიათა ჯგუფი, აზერბაიჯანი. **100%**

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას 2011 წლიდან წარმოადგენს მარაბდა-წალკა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის სარეაბილიტაციო/ სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. კერძოდ კი სარკინიგზო მონაკვეთის სიგრძე თეთრიწყარო- წალკა შეადგენს 49,70 კმ, ხოლო წალკა ახალქალაქი - 74,10 კმ. კომპანია სახელშეკრულები ურთიერთობის განხორციელებისას წარმოადგენს ქვეკონტრაქტორს. პროექტი თავისი არსით არის სტრატეგიული და უნიკალური.

შპს “ATEF Georgia “ ასევე ახორციელებს ვაჭრობას ტრანსფორმატორებით.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) საფუძველზე.

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.3 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებებზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალების განხილულია ქვემოთ მითითებულ შენიშვნებში.

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანის ფუნქციონალურ ვალუტას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორციელდება ოპერაციების განხორციელების დღეს არსებული კურსის გამოყენებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული პოლიტიკა წინა ფინანსური წლის პოლიტიკის შესაბამისია

3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში არსებული მუხლების გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31.12.2019	31.12.2018
ლარი/ აშშ დოლარი (GEL/USD)	2.8677	2.6766
ლარი/ევრო (GEL/EUR)	3.2095	3.0701
ლარი/ბრიტანული გირვანქა სტერლინგი (GEL/GBP)	3.7593	3.3955

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით და ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში.

- მობილური სადგომი - 5%
- სატრანსპორტო საშუალება - 20%
- ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 10%-15%
- მცირეფასიანი ინვენტარი - 20%
- შენობა - 5%

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, (გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით), თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას აქტივის მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში იცვლება ბალანსის მომზადების თარიღისთვის.

3.3 არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია თვითღირებულებით. ბალანსზე რიცხულ არამატერიალური აქტივის ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

3.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშერულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად :

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისახება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად „ფინანსური ხარჯი“, „ფინანსური შემოსავალი“ ან სხვა „ფინანსური ხარჯი“.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული

ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

II ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არა აქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

I სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება

პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

II სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემოდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებისა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.10 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.11 ანარიცხები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განოვთვებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.13 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;

3.14 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4.ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს **619 827** ლარს, ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ღირებულება	შენიშვნა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	ნოუთბუქები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ჯამი
2018 წლის 01 იანვარი	342,729	230,536	3,079	24,243	59,213	21,872	1,248,525	1,930,197
შემოსავალი	-	46,404		547	470	51	83,568	131,041
გასავალი	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	342,729	276,940	3,079	24,791	59,684	21,923	1,332,093	2,061,238
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 01 იანვარი	46,011	128,002	2,041	15,438	35,188	10,279	841,455	1,078,414
წლის ცვეთა	17,587	28,300	308	2,479	5,921	1,433	133,209	189,239
2018 წლის 31 დეკემბერი	63,599	156,302	2,349	17,917	41,110	11,712	974,664	1,267,653
საბალანსო ღირებულება 2018.31.12	279,131	120,638	729	6,874	18,574	10,211	357,429	793,585
ღირებულება	შენიშვნა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	ნოუთბუქები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ჯამი
2019 წლის 01 იანვარი	342,729	276,940	3,079	24,791	59,684	21,923	1,332,093	2,061,238
შემოსავალი		3,045			1,042		12,576	16,662
გასავალი								-
2019 წლის 31 დეკემბერი	342,729	279,985	3,079	24,791	60,725	21,923	1,344,669	2,077,900
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 01 იანვარი	63,599	156,302	2,349	17,917	41,110	11,712	974,664	1,267,653
წლის ცვეთა	17,587	29,483	308	2,479	5,921	1,432	133,209	190,420
2019 წლის 31 დეკემბერი	81,186	185,785	2,657	20,396	47,031	13,144	1,107,874	1,458,073
საბალანსო ღირებულება 2019.31.12	261,544	94,200	421	4,394	13,694	8,778	236,796	619,827

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივს, რომელსაც ფლობს კომპანია წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა. ბალანსზე ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დარიცხული ცვეთის თანხით- **3305,87** ლარი. არამატერიალურ აქტივის ნაწილს გააჩნია გამოყენების შეზღუდული პერიოდი და მას ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით.

6. სასაქონლო -მატერიალური მარაგები

მარაგების თვითღირებულება გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

	31.12.2019	31.12.2018
საწვავი	8,377	5,667
სასაქონლო მატერიალური მარაგები	831,588	1,272,373
სულ	839,964	1,278,040

7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

დარიცხული მოთხოვნები მომსახურებიდან არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

გრძელვადიანი მოთხოვნა ექვემდებარება მიღებას საანგარიშო პერიოდიდან 12 თვის შემდეგ. შესაძლებელია მოთხოვნის ანაზღაურება მხარეთა შეთანხმებით განხორციელდეს განსხვავებულ ვადაში. არ არსებობს ანგარიშგებაში ასახული მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მოთხოვნა აღირიცხება აშშ დოლარში და პროცენტი არ ერიცხება.

7.1 გრძელვადიანი მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი მოთხოვნები	28,882,846	
სულ	28,882,846	-

7.2 მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018
გადახდილი ავანსები	570,146	225,842
სხვა აქტივი	333	333
მოკლევადიანი მოთხოვნები	708,360	35,770,339
სულ	1,278,839	35,996,514

8. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში ლარში	28,578	949
ფული საბანკო ანგარიშზე (GEL)	2,823	1
ფული საბანკო ანგარიშზე (USD)	3,983	-
ფული საბანკო ანგარიშზე (EUR)	16	-
სულ	35,400	950

9. კაპიტალი

9.1 საინვესტიციო კაპიტალი

საინვესტიციო კაპიტალი შეადგენს 181 530 ლარს

9.2 დაუფარავი ზარალი

	31.12.2019	31.12.2018
დაუფარავი ზარალი	35,175,087	31,259,386
სულ	35,175,087	31,259,386

კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 35 175 087 ლარს , 2019 წლის საქმიანობის შედეგად კომპანიის ფინანსური შედეგები კვლავ ზარალიანია და შეადგენს 3 915 701 ლარს.

კომპანიის საქმიანობის ფინანსური და ტექნიკური მდგრალობის მხარდაჭერას საკუთარი შემოსავლების გარდა, უზრუნველყოფს კომპანიის დამფუძნებელი, რაც კომპანიის საქმიანობის წარმატებით წარმართვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამ მოსაზრების დასტურად წარმოდგენილია კომპანიის დამფუძნებლის წერილი იმის შესახებ, რომ ის დაუბრკოლებლად განახორციელებს კომპანიის უზრუნველყოფას ფინანსური და სხვა საჭირო რესურსებით.

10. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2019	31.12.2018
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	35,054,316	41,939,363
სულ	35,054,316	41,939,363

11. საგადასახადო აქტივი და ვალდებულებები

11.1 საგადასახადო აქტივი

	31.12.2019	31.12.2018
საგადასახადო აქტივი	166,099	-
სულ	166,099	-

11.2 საგადასახადო ვალდებულება

	31.12.2019	31.12.2018
საგადასახადო ვალდებულებები	-	89,846
სულ	-	89,846

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,226,344	3,650,349
შემოსავალი გაყიდვებიდან	219,661	296,642
შემოსავალი (ექსპორტი)	359,298	23,447
სულ	1,805,304	3,970,438

13. შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან

	31.12.2019	31.12.2018
საპროცენტო შემოსავალი	1,121	1,429
სულ	1,121	1,429

14. შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან

	31.12.2019	31.12.2018
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5,065,698	16,005,516
სულ	5,065,698	16,005,516

15. საფინანსო ხარჯი

	31.12.2019	31.12.2018
საპროცენტო ხარჯები	1,284,818	582,427
სულ	1,284,818	582,427

16. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	31.12.2019	31.12.2018
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	4,990,420	17,076,247
სულ	4,990,420	17,076,247

17.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2019	31.12.2018
შრომითი ანაზღაურება ადმინისტრაცია	278,256	319,250
პრემია	1,212	-
საიჯარო ქირა	37,471	-
სატერმინალო მომსახურება	69	254
სხვა საოპერაციო ხარჯები (ბანკის საკომისიო GEL)	3,553	5,515
ბანკის საკომისიო USD	-	879
ბანკის საკომისიო EURO	325	509
ბანკის საკომისიო RUB	-	4
ხელის გადახდის საკომისიო	10	60
საიჯარო ქირა	-	30,441
საოფისე ინვენტარი	-	103
საკანცელარიო საქონელი	644	1,021
კომუნიკაციის ხარჯი	16,263	17,523
ელექტრო ენერგიის ხარჯი	-	5,474
კომუნალური ხარჯი	1,386	1,172
დაზღვევა	2,520	-
საკონსულტაციო ხარჯები	20,251	28,883
საბაჟო ტერმინალის ხარჯი	202	-
სხვადასხვა მომსახურება	282	8,307
ცვეთა და ამორტიზაცია	190,690	189,642
სხვა საგადასახადო ხარჯი	6,213	7,971
წარმომადგენლობითი ხარჯი	678	-
საპენსიო ფონდი	17,631	-
ოფისის სხვადასხვა ხარჯი	1,043	992
სხვა საერთო ხარჯი	511	508
სულ	579,210	618,509

18.იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული შენობა-ნაგებობა, კერძოდ საოფისე ფართი. საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებებით. იჯარის პირობები მოიცავს 1 წლიან პერიოდს და გაგრძელებადია იჯარის ბოლოს ბაზარზე არსებული საბაზრო ფასით

19.რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (გადაზიდვის ხარჯი)

	31.12.2019	31.12.2018
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	672,637	3,911,637
ობიექტზე გაწეული მომსახურება	-	3,961
ობიექტზე გაწეული სხვა სამუშაოები	182,256	121,873
მანქანის ნაწილების ჩამოწერა	70,311	-
არაპირდაპირი ხელფასი	163,559	412,712
რემონტის დანახარჯები		51
შრომის ანაზღაურება ობიექტები	795,903	1,103,305
ATEF დროებითი შემოტანის იჯარა	1,108,700	4,525,702
ელექტრო ენერგიის ხარჯი	355,297	268,215
გაყიდული/შეძენილი საქონელი	203,388	255,542
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	-	10,803
ტრანსპორტირება რკინიგზის	5,079	5,560
ავტო მომსახურება	4,046	9,257
დიზელი--0690 ხარჯი	203,557	377,943
ბენზინი სუპერი --0320 ხარჯი		3,892
ბენზინი პრემიუმი --0290 ხარჯი	19,835	23,920
ბენზინი რეგულარი --0270 ხარჯი		383
კვება და სასტუმრო	147,498	263,743
არარეზიდენტის გადასახადები		
საერთაშორისო გადაზიდვებისას	1,309	-
სულ	3,933,375	11,298,499

20.მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინები, ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობის მიზნით.

ა) მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობა შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული

შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდსათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა, და დარწმუნებულია რომ იგი არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, ფინანსური ანგარიშგება განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

ხელმძღვანელობა აფასებს მისაღები დებიტორული დავალიანებების ღირსეულობას ისტორიულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. დავალიანების ამოღების რეალური ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

ბ) ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილების და მიმდინარე მოვლენებისა და გარემოებების გათვალისწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს.

გ) საგადასახადო რისკები

მოქმედი საკანონმდებლო ბაზა იძლევა კანონის ორაზრივან ინტერპრეტაციის საშუალებას, შესაძლოა საგადასახადო ორგანოებს მოსაზრება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოსაზრებისგან, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული საგადასახადო დაბეგვრა სრულ შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან და კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის საგადასახადო რისკი.

21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2018-2019 წლებში კომპანიას განხორციელებული აქვს ქვემოთ მითითებული სამეურნეო ოპერაციები:

	31.12.2019		31.12.2018	
	ბრუნვა	ნაშთი	ბრუნვა	ნაშთი
დამფუძნებლისგან საქონლის შესყიდვა	149,551	34,575,484	2,792,869	32,471,622
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	14,921	14,921	-	-
დამფუძნებელზე საქონლის ექსპორტი	359,298		23,447	
იჯარის ოპერაცია	1,108,699	37,895	4,887,079	9,098,337
ხელფასი	44,790		45,000	

2018-2019 წლებში კომპანიას ასევე განხორციელებული აქვს სასესხო ოპერაციები, რაც განმარტებულია ვალდებულებების (22) ნაწილში.

	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი პროცენტები	4,138,725	2,664,149
სულ	4,138,725	2,664,149

22. ვალდებულებები

22.1 გრძელვადიანი ვალდებულება

გამსესხებელი	31.12.2017	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	31.12.2018	
ATEF GROUP	9,416,837	15,389,281	1,154,565	23,651,554	
KASPI-ELL	2,875,605		2,875,605	-	
PASHA BANK	2,500,000		2,500,000	-	
სულ	14,792,443	15,389,281	6,530,170	23,651,554	
გამსესხებელი	31.12.2018	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	გადაფასება	31.12.2019
ATEF GROUP	23,651,554	927,852	817,864	1,729,315	25,490,857
სულ	23,651,554	927,852	817,864	1,729,315	25,490,857

22.2 მოკლევადიანი ვალდებულება

გამსესხებული	31.12.2018	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	31.12.2019
გახრამან ასადოვი	7,700	-	7,700	-
სულ	7,700	-	7,700	-

23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

მიმდინარე პერიოდში შპს „ATEF Georgia“-ს აუნაზღაურდა ზიანი 6 270 ლარი, გარანტიებისა და პირობითი ვალდებულებების გათვალისწინებით.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ არსებობს რაიმე სახის შემდგომი მოვლენა, რომელიც საჭიროებს განმარტებას.

25. COVID 19-ის გავლენა კომპანიაზე

პანდემიამ არსებითი გავლენა არ იქონია კომპანიის საქმიანობაზე, მის სამუშაო სამუშაო პროცესსა და მისაღებ ფულად ნაკადებზე. კომპანიის მომსახურების მიმღები წარმოადგენს ქვეყნის სტრატეგიულს იბიექტს პანდემიის გახანგრძლივების პირობებშიც მოსალოდნელი არ იყო, რომ იარსებებდა რაიმე ისეთი მოვლენა, რომელიც წარმოშობდა ეჭვს არსებით განისაზღვრელობასთან დაკავშირებით.

26. ანგარიშგების დამტკიცება

ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერი

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020

შპს „ATEF Georgia”

მმართველობის ანგარიშგება

2019

09/2019 შპს „ATEF Georgia”

სარჩევი

შესავალი -----	39
წარდგინება კომპანიის დირექტორისგან -----	39
საქმიანობის მიმოხილვა -----	39
კომპანიის შესახებ -----	39
საქმიანობა და სამომავლო გეგმები -----	40
კორპორაციული მართვის ანგარიშგება -----	40
სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები -----	41
არაფინანსური ანგარიშგება -----	41
ჩვენი გუნდი -----	41
უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე -----	41
ანგარიშგების მომზადება და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები -----	42

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი „აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებს.

წარდგინება დირექტორისგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ATEF Georgia“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და არსებული საქმიანობის მაშტაბების და ხარისხის გაზრდის პერსპექტივა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას ჩვენი საქმიანობის სფეროში, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა მომხმარებლების, პარტნიორებისა და თანამშრომლებისგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „ATEF Georgia“ შეიქმნა 2011 წელს (თავდაპირველად კომპანია TRANSENERGO-ს სახელწოდებით) და დღემდე, დაკავებულია ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი შემაერთებული რკინიგზის პროექტის ფარგლებში სარკინიგზო მონაკვეთის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობაზე, რომელზეც ჩვენ წარმოვადგენთ ქვეკონტრაქტორ საწარმოს და საიდანაც, სამუშაოების უდიდესი ნაწილი უკვე შესრულებულია.

შპს „ATEF Georgia“ შვილობილია, აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში არსებული შპს „ATEF GROUP“-ისა, რომელიც ფლობს ამიერკავკასიაში უდიდეს ტრანსფორმატორების მწარმოებელი ქარხანას, რომელთაც ჩვენი კომპანია იყენებს ზემოთხსენებულ რკინიგზის პროექტზე დასამონტაჟებლად.

საქმიანობა და სამომავლო გეგმები

ჩვენი კომპანია 2011 წლიდან დღემდე, დაკავებულია ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი შემაერთებული რკინიგზის პროექტის ფარგლებში სარკინიგზო მონაკვეთის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობაზე, რომელზეც ჩვენ წარმოვადგენთ ქვეკონტრაქტორ საწარმოს და საიდანაც, სამუშაოების უდიდესი ნაწილი უკვე შესრულებულია. უფრო ვრცლად შესრულებულ სამუშაოებზე: თეთრიწყარო-წალკის მონაკვეთზე რეაბილიტაცია ჩაუტარა 49,7 კმ სიგრძის ლიანდაგს, მათ შორის უპირაპირო წნულებით მოეწყო 37,6 კმ. ამ უბანზე მოეწყო ასაქცევი ჭივჭავი, რომლის სიგრძეა 3,7 კმ ლიანდაგი. თეთრიწყარო-წალკის უბანზე არსებული 114 ხელოვნური ნაგებობიდან რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 103 ხელოვნურ ნაგებობას. აშენდა ახალი: 3 გზაგამტარი, 4 რ/ბ მილი, 1 ბეტონის გადამღობი კედელი, 1 ხიდი, 1 ტექნოლოგიებით. გალვანიზირებული გოფირებული მეტალოკონსტრუქციებით.

წალკა-ახალქალაქის მონაკვეთზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 74 კმ სიგრძის ლიანდაგს, მათ შორის უპირაპირო წნულებით მოეწყო 55,829 კმ წალკა-ახალქალაქის უბანზე არსებული 149 ხელოვნური ნაგებობიდან რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 133 ხელოვნურ ნაგებობას. აშენდა ახალი: 4 გზაგამტარი, 8 ბეტონის გადამღობი კედელი, 4 თოვლდამცავი გალერეა საერთო სიგრძით 2,5 კმ, 4 გზაგამტარის და 4 გალერეის მშენებლობა უახლესი ტექნოლოგიებით. გზაგამტარები და გალერეები აიგო გალვანიზირებული გოფირებული მეტალოკონსტრუქციებით.

ჩვენი კომპანია იღებს მონაწილეობას ადგილობრივ ტენდერებში და საკმაოდ წარმატებულად. ასევე, ჩვენ ვახდენთ სხვადასხვა მოდულების და სიმძლავრეების ტრანსფორმატორების რეალიზაციას ქვეყნის მასშტაბით.

მითითებული პროექტის დასრულების შემდგომ, კომპანია აპირებს დარჩეს ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მომსახურებაზე. ასევე, განვაგრძობთ ტენდერებში მონაწილეობის მიღებას და ტრანსფორმატორების იმპორტს ქვეყანაში.

2019 წლის ნოემბრის თვეში კომპანიამ დადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კომპანია ვალდებულია განახორციელოს მარაბდა-თეთრიწყარო მონაკვეთზე არსებული 3,3 კვ. საკონტაქტო ქსელის დეფექტების და დაზიანებების გამოსწორება, 10 კვ. გრძივი და ავტობლოკირების ხაზების მშენებლობა და მონტაჟი.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული საქართველოს განვითარების გეგმას, სტრუქტურის სათავეში გვევლინება დირექტორი გახრამან ასადოვი.

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

გახრამან ასადოვი შპს „ATEF Georgia“-ს დირექტორად დაინიშნა 2013 წელს.

სტრუქტურის თავისებურებანი

კომპანიის სტრუქტურა შესდგება ქვედანაყოფებისაგან, რომლებიც ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისთვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ადამიანური და მატერიალური რესურსის ეფექტურად გამოყენებით.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „ATEF Georgia“-ში დასაქმებულია დაახლოებით 150 თანამშრომელი. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ.თბილისში, კოსტავას #71-ში, სადაც ადმინისტრაციაში დაკავებულია დაახლოებით 9-10 ადამიანი. თანამშრომელთა დარჩენილი ნაწილი მუშაობს კომპანიის სამუშაო ბაზებზე, თეთრიწყარო - ახალქალაქის მონაკვეთზე.

კომპანია იზიარებს და იღებს პასუხისმგებლობას დასაქმებულთა წინაშე და მათგანაც ითხოვს კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას საქმის მიმართ.

უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

ვინაიდან, ჩვენი კომპანიის საქმიანობა ითვლება საფრთხისშემცველად მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია უზრუნველყოფს ბაზებზე მომუშავე თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვისთვის ყველანაირი ზომების მიღებას, კერძოდ, რაც აუცილებელია მაღალი ძაბვაზე და ასევე

მაღალმთიან რაიონებში ზამთრის პერიოდში მომუშავე პერსონალისთვის მაქსიმალური პირობების შექმნისთვის.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

29 სექტემბერი 2020 წელი

დირექტორი: გახრამან ასადოვი

- თადლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 29 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

გახრამან ასადოვი

30 სექტემბერი 2020 წელი



უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა კომპანიის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ელენე დოლიძე.

შპს „აუდიტსერვისი 2009“

30 სექტემბერი 2020

ქ. თბილისი, გობრონიძის ქ # 1 ბ. საქართველო.



შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		31.12.2019	31.12.2018
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4.00	619,827	793,584
არამატერიალური აქტივები	5.00	3,306	3,306
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7.00	28,882,846	
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>29,505,979</u>	<u>796,890</u>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7.00	1,278,839	35,996,514
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6.00	839,964	1,278,040
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8.00	35,400	950
წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი	11.00	166,099	-
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>2,320,302</u>	<u>37,275,504</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>31,826,280</u>	<u>38,072,394</u>
<i>დაუფარავი ზარალი</i>			
კაპიტალი	9.00	(35,175,087)	(31,259,386)
		181,530	181,530
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>(34,993,557)</u>	<u>(31,077,856)</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
მიღებული სესხები	22.00	25,490,857	23,651,554
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>25,490,857</u>	<u>23,651,554</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10.00	35,054,316	41,939,363
მიღებული ავანსები		1,446,695	-

შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხა წარმოდგენილია ლარში

მიღებული სესხები	22.00	-	7,700
გადასახდელი ხელოფასები	-	-	162,420
გადასახდელი პროცენტი	-	4,819,412	3,299,367
საგადასახადო ვალდებულებები	11.00	-	89,846
საპენსიო ანარიცხი	-	8,557	-
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>41,328,980</u>	<u>45,498,696</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>31,826,280</u>	<u>38,072,394</u>

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როსჯაძე

თარიღი : 29.09.2020



შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური
ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით. თანხა წარმოდგენილია
ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება		31.12.2019	31.12.2018
შემოსავლები	12	1,805,304	3,970,438
თვითღირებულების ხარჯები	19	(3,933,375)	(11,298,499)
საერთო მოგება		(2,128,071)	(7,328,061)
სხვა შემოსავლები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(579,210)	(618,509)
საოპერაციო მოგება		(2,707,281)	(7,946,570)
საფინანსო შემოსავალი	13	1,121	1,429
საფინანსო ხარჯი	15	(1,284,818)	(582,427)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	14	5,065,698	16,005,516
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(4,990,420)	(17,076,247)
სხვა ხარჯი			
მოგება დაბეგვრამდე		(3,915,701)	(9,598,299)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(3,915,701)	(9,598,299)

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020



შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	11,749,359	17,517,256
%-ის შემოსავალი	1,121	1,429
სესხის ძირის დაბრუნება	-	116,500
ზიანის ანაზღაურება	6,270	-
სხვა		14,693,128
მომწოდებელზე გადახდილი თანხები	(10,002,704)	(14,133,502)
ხელფასი	(1,167,490)	(1,034,414)
სოციალური ანარიცხი	(26,702)	
გადახდილი გადასახადები	(571,218)	(993,919)
%-ზე გადახდილი თანხები	(45)	(817)
საბანკო	(3,881)	(6,757)
გაცემული სესხი	-	(116,500)
სხვა	-	(15,955,916)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(15,290)	86,488
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(20,651)	(85,189)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(20,651)	(85,189)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები	946,052	26,700
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(843,764)	(34,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	102,289	(7,300)
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად ნაკადებზე	(31,898)	5,636

შპს "ATEF Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები
პერიოდის დასაწყისში
ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები
პერიოდის ბოლოს

950.84

1,315.23

35,400.00

950.84

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020



შპს "ATEF Georgia"-ის ფინანსური
 ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით. თანხა წარმოდგენილია
 ლარში

	საწესდებო კაპიტალი	ზარალი	გაცემული დივიდენდი	სულ
2018 წლის 1 იანვრისთვის	181,530.00	(21,661,087)		(21,479,556.54)
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				-
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით				-
მოცემული პერიოდის ზარალი		(9,598,299.00)		(9,598,299.00)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	181,530.00	(31,259,386)	-	(31,077,855.54)

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020



შპს "ATEF Georgia"-ის ფინანსური
 ანგარიშგება 2019 წლის 31
 დეკემბრის მდგომარეობით. თანხა
 წარმოდგენილია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	ზარალი	გაცემული დივიდენდი	სულ
2019 წლის 1 იანვრისთვის	181,530.00	(31,259,386)	-	(31,077,856)
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით				
მოცემული პერიოდის ზარალი		(3,915,701.00)		(3,915,701)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	181,530.00	(35,175,087)	-	(34,993,557)

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020

გამსესხებელი	31.12.2018	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	31.12.2019
გახრამან ასადოვი	7,700	-	7,700	-
სულ	7,700	-	7,700	-

23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

მიმდინარე პერიოდში შპს „ATEF Georgia“-ს აუნაზღაურდა ზიანი 6 270 ლარი, გარანტიებისა და პირობითი ვალდებულებების გათვალისწინებით.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ არსებობს რაიმე სახის შემდგომი მოვლენა, რომელიც საჭიროებს განმარტებას.

25. COVID 19-ის გავლენა კომპანიაზე

პანდემიამ არსებითი გავლენა არ იქონია კომპანიის საქმიანობაზე, მის სამუშაო სამუშაო პროცესსა და მისაღებ ფულად ნაკადებზე. კომპანიის მომსახურების მიმღები წარმოადგენს ქვეყნის სტრატეგიულს იბიექტს პანდემიის გახანგრძლივების პირობებშიც მოსალოდნელი არ იყო, რომ იარსებებდა რაიმე ისეთი მოვლენა, რომელიც წარმოშობდა ეჭვს არსებით განისაზღვრელობასთან დაკავშირებით.


26. ანგარიშგების დამტკიცება

ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერი

დირექტორი: გახრამან ასადოვი

ბუღალტერი: მაია როხვაძე

თარიღი: 29.09.2020



ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

29 სექტემბერი 2020 წელი

დირექტორი: გახრამან ასადოვი

